



## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 198



2011 წლის 28 დეკემბერი  
ქალაქი ხაშური

ქალაქ ხაშურში და დაბა სურამში ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით საახალწლო ქალაქგაფორმებითი სამუშაოების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2011 წლის 16 დეკემბერს (სატენდერო განცხადება (SPA 110031957) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ქალაქ ხაშურში და დაბა სურამში ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით საახალწლო ქალაქგაფორმებითი სამუშაოების შესყიდვაზე, რომელსაც 28 დეკემბერს მიენიჭა სტატუსი „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“. ქალაქ ხაშურში და დაბა სურამში ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით საახალწლო ქალაქგაფორმებითი სამუშაოების შესყიდვა კი აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს ქალაქ ხაშურში და დაბა სურამში ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით საახალწლო ქალაქგაფორმებითი სამუშაოების გამარტივებული შესყიდვა.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე  
დავით ლომიძე

